სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5004118925

15/07/2025

5004118925

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორს ბატონ ვლადიმერ ტატიშვილს

(ქ.ბათუმი,მემედ აბაშიძის ქუჩა N41)

ბატონო ვლადიმერ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N02-12/99 მომართვის (ბიუროს 2025 წლის 17 მარტის რეგისტრაციის N1001957925) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N004540225 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 13 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5004118925

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 15-07.23

(ხელმოწერა)

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: ქ.ბათუმი,მემედ აბაშიძის ქუჩა N41

სახელი და გვარი: ვლადიმერ ტატიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, განახორციელოთ ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.#41-ში მდებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული შენობის მდგრადობის შეფასება.

დამატებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 15 მარტს შენობის სახურავის შიდა ნაწილი ჩამოიშალა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს პოტენციურ საფრთხეებზე.

შემოსვლის თარიღი: 17/03/2025 წ

გასვლის თარიღი: 15/07/2025 წ

დასკვნა

ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.#41-ში მდებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მზიდ კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა, ხოლო სახურავი ავარიულ მდგომარეობაშია. ამასთან, მზიდი კონსტრუქციების თაბაშირ-მუყაოს მოპირკეთებისაგან გაშიშვლების შემდგომ მიზანშეწონილია დამატებით ვიზუალურად შეფასდეს მათი მდგომარეობა.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.#41-ში მდებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული შენობა, ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით.

საკვლევი შენობა სამსართულიანია, ნახევარსარდაფით, აშენებულია გასული საუკუნის დასაწყისში და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 1-2). თავდაპირველად შენობა იყო ორსართულიანი, ხოლო 1990-იან წლებში პირველ სართულზე მოეწყო ანტრესოლის ტიპის სართულშუა მონოლითური რკინაბეტონის გადახურვა. ასევე ექსპლუატაციის მანძილზე შენობაზე, ეზოს მხრიდან მიშენებულია სამსართულიანი ნაწილი. გეგმაში შენობა მართკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით 20x22 მ. კონსტრუქციულად შენობა მზიდკედლებიანია. საძირკველი ლენტური ტიპისაა, აშენებული მონოლითური ბეტონით. ძირითადი შენობის პირველი სართულის მზიდი კედლები, სისქით 40 სმ, მონოლითური ბეტონისაა, ხოლო მეორე სართული ბეტონის ბლოკებითაა აშენებული. სართულშუა გადახურვები ხისაა (გარდა ანტრესოლის ფილის). ტიხრები აშენებულია ბეტონის ბლოკების წყობით და ხის კონსტრუქციებით. დაშენებული სართული და მიშენებები ასევე კარკასულია. კარკასის მზიდი ელემენტები (სვეტები და რიგელები) მონოლითური რკინაბეტონისაა. ქანობიანი სახურავი მოწყობილია ხის კონსტრუქციებით და თუნუქის ფენილით. სახურავზე განთავსებულია ლითონის ბაქანი, რომელიც სატელიტური ანტენების სამაგრის ფუნქციას ასრულებს (ფოტო 3).

ვიზუალური დათვალიერებისას შენობაში გამოვლინდა შემდეგი სახის დაზიანებები და ხარვეზები: მზიდ კედლებში და ტიხრებში, ცალკეულ უბნებში გაჩენილია მცირე გახსნილობის დახრილი ბზარები (ფოტო 4-8), რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც ფუძე-საძირკვლის არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ასევე ექსპლუატაციის მანძილზე მომხდარი მიწისძვრებით; გარე კედლები დანესტიანებულია (ფოტო 9-14); ცალკეულ ფართებში, სადაც არ არის ჩატარებული სარემონტო კოსმეტიკური სამუშაოები, ხის ტიხრებზე და გადახურვებზე არსებული ნალესის ფენის ფრაგმენტები ატკეჩილია და მოშლილია, რაც გამოწვეულია ხის კონსტრუქციის ხანდაზმულობითა და ფიზიკური ცვეთით (ფოტო 15-16). ასევე, როგორც ცნობილია, 2025 წლის 15 მარტს ჩამოინგრა სახურავის ნაწილი (ფოტო 17-20), რისი პროვოცირებაც სავარაუდოთ მოახდინა წინა პერიოდში (თებერვალში) უხვი ნალექის მოსვლამ (თოვლი). როგორც ჩანს, სახურავის მზიდი ხის კოჭები ექსპლუატაციის მანძილზე რეგიონისათვის დამახასიათებელი მაღალტენიანი გარემოს პირობებში გამოიფიტა, რის გამოც მათი სიმტკიცე დაქვეითდა, ხოლო უხვი ნალექის შედეგად სახურავზე მოსულმა დატვირთვამ მიიყვანა ხის კოჭები კრიტიკულ მდგომარეობამდე, კერძოდ, გამოიწვია მათი დეფორმაცია (ჩაღუნვა) და სავარაუდოთ ბზარების წარმოქმნა, რამაც კოჭების სტრუქტურული რღვევის წინაპირობა შექმნა. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მზიდ კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა, ხოლო სახურავი ავარიულ მდგომარეობაშია. ამასთან აღსანიშნავია, რომ შენობაში ჩატარებული სარემონტო-კოსმეტიკური სამუშაოების შედეგად როგორც სართულშუა გადახურვები, ასევე მზიდი კედლები და ტიხრები თითქმის სრულად შეფუთულია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციებით, რის გამოც მათი რეალური მდგომარეობა ვიზუალურად ვერ დგინდება, თუმცა ადმინისტრაციის ინფორმაციით, მზიდი კონსტრუქციების მოპირკეთებამდე, მათ აღენიშნებოდათ მრავლობითი ბზარები და დაზიანებები. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მზიდი კონსტრუქციების თაბაშირ-მუყაოს მოპირკეთებისაგან გაშიშვლების შემდგომ დამატებით ვიზუალურად შეფასდეს მათი მდგომარეობა.

ამრიგად, ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.#41-ში მდებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მზიდ კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა, ხოლო სახურავი ავარიულ მდგომარეობაშია. ამასთან, მზიდი კონსტრუქციების თაბაშირ-მუყაოს მოპირკეთებისაგან გაშიშვლების შემდგომ მიზანშეწონილია დამატებით ვიზუალურად შეფასდეს მათი მდგომარეობა.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოყენებული მასალები

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა **ტექნიკური** წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

ფოტო 9

ფოტო 10

ფოტო 11



ფოტო 12

ფოტო 13

ფოტო 14

ფოტო 15

ფოტო 16

ფოტო 17

ფოტო 18

ფოტო 19

ფოტო 20